ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №97

19 აპრილი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების - ჯვარცხმის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, გამოუყენებელი და ფიზიკურად გაცვეთილი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43 - ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 13 ივნისის N31 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N 1 - ის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 აპრილის N83 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 2013წლის 16 აპრილის სხდომის ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიბლიოთეკიდან ამოღებული ლიტერატურის 2013 წლის 15 აპრილის N 1 ჩამოწერის აქტი (თან ერთვის);
2. ჩამოიწეროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჯვარცხმის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი

გამოუყენებელი და ფიზიკურად გაცვეთილი ლიტერატურა თანახმად 2013 წლის 15 აპრილის N 1 ჩამოწერის აქტისა;

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თ. ჯინჭარაძე) ჩამოწერის შედეგად მიღებული ლიტერატურიდან 145 კგ. წიგნის ნედლეულის მეორად გადამამუშავებელ ორგანიზაციაში ჩაბარების უზრუნველყოფა;

4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს ზ.ჩანტლაძეს მუნიციპალური ქონების სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილების გატარება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (მის: ჭავჭავაძის ქ. N4);

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე .

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*